№ 120. 24 ივნისი, პარასკევი. 1866—1883 24 ივნისი, პარასკევი. № 120.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა . . 9 მ. | სამის თვისა . . . 3 მ. |
| ექვსის თვისა . . . 5 მ. | ერთის თვისა . . . 1 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით—ასოზე ერთი კაპეიკი. ასომთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი, ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე რვა-კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

## „დროებაზედ“

ნახევარ წლით პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

ივნისის პირველის რიცხვების ნომრები რედაქციაში აღარ არის.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი.»)

**ოდესა**, 21 ივნისს. დღეს ქალაქის უფროსის თავმჯდომარეობით განიხილეს ის საშუალებები, რომელიც უნდა მიიღონ ხორველის წინააღმდეგ. სხვათა შორის გადასწყვიტეს შეკრიბონ ცნობები ქალაქის სანიტარულს მდგომარეობაზედ, შეიმუშაონ კარანტინის წესები და ტუსაღები გადაიყვანონ სხვა ქალაქებში.

**ტვერი**, 19 ივნისს. კაშინში დაიწვა 100 სახლი, მათში 25 ქვითკირისა, ხიდი კამენკაზედ და ქალაქის პირის ერთი სოფელი.

**სტამბოლი**. ყველა გემები უნდა დაშინჯონ ხოლმე ოსმალეთის კონსულებმა.

**ალექსანდრია**. გუშინ დალმიეტში ხორველისაგან მოკვდა 230 კაცი, სასტიკი კარდონი არტყია ქალაქს. ყარაულებს ნაბრძანები აქვთ თოფი ჰკრან, ვინც ქალაქს გარეთ გასვლას გაჰბედავს.

**პარიჟი**. გრაფი შამბორი ძალიან ავად არის. ორლეანის პრინცები წავიდენ როტბერს.

**ბერლინი**. გუშინ მოვიდა პარიჟიდამ თავადი ორლოვი, რომელიც ბისმარკის ნახვას აპირებს ფრიდრიხსრუეში.

**პეტერბურღი**, 22 ივნისს. გუშინ ხივის ხანი წავიდა, გაივლის მოსკოვზედ და ორენბურგით ხივას წავა.

**ბრიუსელი**. ანტვერპენში ხორველის მსგავსი ავადმყოფობა გაჩნდა. აღმოსავლეთიდამ მოსულს გემებს ჰშინჯავენ.

**გლაზგო**, ახლად აშენებული ორთქლით მავალი (პარახოდი) წყალში ჩასვების დროს გადაბრუნდა და ასი კაცი დაახრჩო.

თბილისი, 23 ივნისს.

ორჯერ გვქონდა შემთხვევა ბაასისა სოფლის თვით-მმართველობაზედ და, სამწუხაროდ, იმ უიმედო დასკვნასთან მივედით, რომ სოფლის თვით-მმართველობა შეიცვალა ერთის კაცის, ესე იგი მამასახლისის, მართველობად ან უკეთ ვსთქვათ თვით-ნებობად. რამდენიც საგაზეთო წერილში შეიძლებოდა, მაშინვე ვუჩვენეთ ის მიზეზებიც, რამაც ეს მავნებელი მოვლენა დაბადა და ვუჩვენეთ აგრეთვე სამკურნალო წამალიც. ეხლა უნდა თვალი გადავავლოთ ქალაქის თვით-მმართველობას, რომელმაც სოფლის თვით-მმართველობასავით კანონ-მდებლისგან დანიშნულს გზაზედ არ გაიარა და თავისი საკუთარი გზა გაიკვლია. «საქალაქო დებულებამ» პოლიციას ჩამოართვა საქალაქო შინაგანი საქმეების ავან-ჩავანობა და თვით მოქალაქეებს ჩააბარა. სამართლიანი და სასურველიც იყო ეს ჩამორთმევა. რაც გინდა კეთილ-სინიდისიერი მოხელეებისაგან შემდგარი ყოფილიყოს პოლიცია, მაინც, სხვა ეჭვიც რომ არა შევიტანოთ-რა, მოუცლელობისა გამო ვერ შეეძლო ქალაქის საქმეებს რიგიანად გასძღოლიყო. ეხლა ქალაქი შეიქნა თვისი შინაგანი, საოჯახო საქმეების სრული გამგებელი და პატრონი: მან უნდა იზრუნოს ქალაქის გარეგან რიგიანობაზედ, ესე იგი ქუჩების სისუფთავეზედ, ღამე განათებაზედ, რომ მცხოვრებლები ბნელაში ფეხსა და კისერს არ იტეხდენ და ღამე ნადირობის მოყვარეთ სიბნელე არა ჰფარავდეს. მანვე უნდა იზრუნოს წყლის სისუფთავეზედ; მასვე აქვს ჩაბარებული სანიტარული ნაწილი და სხვ. ამდენის მოვალეობის აღსრულებას, რასაკვირველია, საშუალება უნდა და ამ საშუალებას შეადგენს ქალაქის მთელი შემოსავალი, რომელსაც თვით-მმართველობა ისე დაჰხარჯავს, როგორც უნდა. მგონია, საჭირო არ იქნება დაწვრილებით ჩამოვთვალოთ, რომ ქალაქის თვით-მმართველობა არც ერთს თავის მოვალეობას რიგიანად ვერ ასრულებს. ქუჩებში ისევ უწინდებური მტვერი გვახრჩობს და როდესაც ტალახია, მუხლამდე შიგ ვიფლებით, წყალს იქვე ძველებურად თულუხჩები მიაჭყაპუნებენ და თუ მათი სურვილი არ არის, ორი-სამი დღე უწყლოდ სულებს ამოგვხუთავენ. ვერცარას ღამის სინათლე დაიკვეხებს. ცეცხლის მქრობელი კამანდა და იარაღები ისეთებია, რომ ღმერთმა შეინახოს. თუმცა ქალაქსა ჰყავს თავის არხიტექტორები და შენობების გამგე ცალკე რაღაც კამისიები, მაგრამ, არავინ ყურს არ უგდებს, რომ მდიდარი მეზობელი ღარიბის კაცის სახლს საძირკველს უთხრის და რამდენიმე სულს ადამიანს თავზედ დაცემულს ჭერს თაგვებივით აჭეჭყინებს. არავინ ყურს არ უგდებს, რომ ისევ ძველებურად დამპალს ხორაგეულობასა ჰყიდიან და წონაში და ზომაში უსინიდისოდ ატყუებენ ვაჭრები.

ქალაქში, ზოგიერთი ხორაგეული მაინც ჩალის ფასად უნდა იყოს, მაგრამ ყველაფრის სიძვირეა, ამიტომ, რომ ქალაქს ყველა გზები შეკრული აქვს, ხორველობის კარანტინის კარდონივით ჩარჩების ალყა არტყია გარეშემო და მინამ იქამდე მიაღწევს, ვინც საჭიროებს, ხუთმა რიგობამ მაინც უნდა იყიდოს და გაყიდოს.

ჩვენ იმისათვის არა ვლაპარაკობთ, რომ ქალაქის ხმოსნებმა და გამგეობამ ყურადღება მიაქციოს. ჩვენის მხრით, ეს ცრუ იმედი იქნებოდა და ამ ნეტარებას მათგან, ვინც ეხლა ქალაქის თვით მმართველობას შეადგენს, ისე ვერ მოვესწრებით, როგორც მაჰმადის მეორედ მოსვლას. თუ წყალი სათავეშივე ამღვრეულია, იმას ქვეით აღარა ეშველება-რა,—უნდა სხვა წყარო მოიძებნოს. «საქალაქო დებულებამ» მარტო ვაჭრები იცნო ქალაქების საქმეების გამგედ. ვაჭრების წოდება კი ჯერ იქამდე განუვითარებელია ზნეობით და გონებით, რომ საკუთარს, ვიწრო ინტერესებს წინ ვერ წაუვა. რად ეცდებიან ისინი ვაჭრობაში კონკურენცია გაძლიერდეს, რომელიც იაფობასა ჰბადავს, როდესაც ეს მათის ჯიბის მავნებელი იქნება? თუნდა კიდეც, რომ საკუთარი ინტერესები უარ ჰყონ და საზოგადო ინტერესებზედ თავი დასდონ, მაინც ეს იქნება მხოლოდ კეთილი, მაგრამ უნაყოფო სურვილი მათი. რადგანაც მის ასასრულებლად არც ცოდნა აქვთ და არც გამოცდილება. საზოგადოდ ეს მოსდევს ვაჭრების მართველობას. ურიგობა და უსამართლობა ერთი ათად მატულობს, როდესაც ვაჭრები რომელიმე ქალაქის ბინადარს—მემკვიდრე ხალხს არ შეადგენს...

დროა შეცდომა შესწორდეს, ბოროტებას ბოლო მოეღოს და ქალაქებს ნამდვილი თვით-მმართველობა მიენიჭოთ. რა საშუალებით შეიძლება ამის შესწორება, ამაზედ ადრეც ბევრჯერ გამოთქმულა ჩვენს გაზეთში.

## ახალი ამბები.

თუ ჟურნალ-გაზეთების სიმრავლე ნიშანია ხალხის გონებითის გამოფხიზლებისა, მაშ ქართველობის გონებაც იფხიზლებს და საზრდოს ითხოვს. ქართულს ენაზედ პერიოდულს გამოცემებს მალე მხარს დაუმშვენებს კიდევ ორი გამოცემა: ერთი პედაგოგიური ჟურნალი «ნობათი», რომელიც მომავალის სეკტემბრიდამ გამოვა თბილისში სახელოსნო სკოლის მასწავლებლის ბ. ა. ს. ღულაძის რედაქტორობით და ყოველ-დღიური გაზეთი «მოამბე» ბ. ნ. ქანანოვის რედაქტორობით. («კავკაზი»).

გაზ. «Бакин. Извѣс.» გვატყობინებს, რომ ბაქოში მისულა ვიღაც ფრანცუზი შილუ, რომელიც იქაურ მეთევზეებთან აპირობს შეკრას პირობა, რომ ხიზილალა ბაქოდამ პირ-და-პირ პარიჟში მიდიოდეს, თორემ რუსეთიდამ დაბარება ერთობ ძვირად გვიჯდებაო.

მაშ ხიზილალის გაიაფებას ნუღარ მოელით, თუ ვისმე კიდევ იმედი გქონდათ.

ქვემო-იმერეთიდგან გვწერენ, რომ ამ უკანასკნელს წლებში პატარა მდინარეებმა ძალიან იკლესო; ზოგიერთი კიდეც დაშრაო. ამ მოვლენას მრავალი ზარალი და ზიანი მოაქვსო: წისქვილები გაუქმდენ, ალაგ-ალაგს ჰაერი გაფუჭდა და დიდი შევიწროება ყოველ დღიურ აუცილებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვისო.—მდინარეებმა საზოგადოდ ყველგან დაიკლეს, ამიტომ რომ ტყეები გაიჩეხა. ქვემო-იმერეთს ამ უბედურების შემცირება ადვილად შეუძლიან: მოახდინონ საერთო განკარგულება, შეუთანხმდენ ცხენის-წყლის პირის მფლობელებს და წყალი არხებით ღელეებზედ გადმოიყვანონ. ცხენის-წყალის სიახლოვე პატარა მდინარეების სათაურებთან უადვილებს იმერლებს ამ საქმის შესრუ-

ლებას: ამას არც ბევრი ჯაფა და ხარჯი მოუნდება, მხოლოდ მოთავე კაცი უნდა.

≈≈ ზოგან წყალის დაშრობა აწუხებს ჩვენს ქვეყანას, ზოგან წყალდიდობა. ეს ორივე მოვლენა ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ უერთმანეთოდ ვერ იმოქმედებენ. სადაც ტყეები გაწყვება, იქ ხან ნიაღვარი წალეკავს არე-მარეს, ხან წყალს სასმელადაც ვერ შოობენ. აი ეხლაც, იმერეთიდამ რომ წყლებს დაშრობას უჩივიან, ქართლიდამ გვწერენ რომ ამ დღეებში დიდი ლიახვი საშინლად მოვარდა და სულ წალეკა ზორში ის ქუჩა, რომელზედაც ჩვეულებრივ გაზაფხულზედ გამოისეირნებს ხოლმეო, ასე რომ ზორს ამით დიდი ზარალი მიეცაო. ამას გარდა რომელიღაც მთა ჩამოწოლილა ზემო-ოსეთში, ლიახვის პირას და საშინელი სუნი ასდენია ლიახვის წყალს, ალბად გოგირდ ნარევი მიწა თუ ჩამოწვებოდა.

≈≈ ბათუმიდამ გვატყობინებენ, რომ 22-ს ივნისს ტფილისიდამ მისულ დრამატიულ დასს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენა გაუმართავს.

≈≈ ცხინვალში, ამ დღეებში, თ. ი. მ—ელს რამდენჯერმე თოფი დაუხლია თ. ა. მ—ლის მოურავისთვის და მძიმედ დაუჭრია. უსიამოვნობა მამულის თაობაზედ მოსვლიათ. ამბობენ დაჭრილი არ მორჩებაო.

≈≈ მკითხველმა იცის, რომ უკანასკნელ დროს შაქარი საშინლად გაძვირდა. ამის მიზეზი ის არის, რომ თითო-ოროლა ვაჭარმა ხელში მოიგდო ამის ვაჭრობა და როგორც უნდა, ისე მაღლა სწევს ფასებს. საქმე იქამდის მივიდა, რომ პეტერბურღის პოლიცია ჩარევია ამ საქმეს და იქაურ პოლიცმეისტერს გრესერს უთხოვნია მინისტრისთვის ნება მიეცეს განკარგულების მოხდენისა, რომ შაქარი წვრილ-წვრილად იმაზედ ძვირად აღარ იყიდებოდეს, როგორც უწინ იყიდებოდა.

## ზოგიერთი გამოკრებილი ცნობები იმ შეცვლილის დებულებიდამ, რომელიც უნდა იქოს შემოღებული კავკასიაში ამ წლის 1 ივლისიდამ.

ა) გაუქმდებიან: მთავარ-მმართებელის (ნამესტნიკის) თანაშემწის თანამდებობა, განსაკუთრებითის მინდობილობის ჩინოვნიკების ალაგები, აგრეთვე უმთავრესი მმართველობა (Главное управленіе) მთავარ-მმართებელისა, რჩევა და დეპარტამენტი მისი, სახელმწიფო ქონებათა გამგეობა, ტყისა, მეურნეობისა და მრეწველობის (промышленности), გზის კამიტეტი მისივე ტეხნიკურის კანცელიარიით და სხვა ყოველი თანამდებობა აქ ჩამოთვლილ დაწესებულებებთან დაკავშირებული.

ბ) რაც კი ამ დაწესებულებებში საქმეები სწარმოებდა გარდაეცემა სამინისტროებს კუთვნილებისა მებრ და აგრეთვე მთავარ მეუფროსეს (Главноначальствующій) ახალს კანცელიარიას.

გ) რაც სადეპუტატო ყრილობებში ან დროებით კამისიებში საქმეები სწარმოებდა, უმაღლეს წოდებათა (თავად-აზნაურობის) უფლებების გასარჩევად, გარდაეცემა ჰეროლდიის დეპარტამენტს. ეს საქმეები ამ წესით გარდაიცემა: სადეპუტატო ყრილობებიდამ პირდაპირ და დროებით კამისიებიდამ მთავარ მეუფროსის შუამავლობით და მისის აზრის ზედ დართვით.

—

აი, სხვათა შორის, რა უფლებები ექნება მინიჭებული ახალს მთავარ მეუფროსეს:

ა) როდესაც სენატის ბძანებებში რაიმე ახალი კანონდებულება იქნება გამოცხადებული საზოგადოდ და მათში არ იქნება მოხსენებული, რომ ის კავკასიაზედაც გავრცელდება და მთავარ მეუფროსე კავკასიისთვისაც საჭიროდ იცნობს, ნება აქვს ჯეროვან მინისტრთან ორის თვის განმავლობაში წინადადება შეიტანოს და სთხოვოს ის ახალი კანონი კავკასიაზედაც გავრცელდეს.

ბ) მინისტრთა და მთავარ-მმართველთა ყველა საზოგადო განკარგულების პირი, რაც კი კავკასიას შეეხება, გაეგზავნოს მთავარ მეუფროსეს, რომელსაც ნება აქვს, თუ რაიმე დაბრკოლებას დაინახავს, შეატყობინოს იმ მინისტრებს, ვისგანაც განკარგულება მომხდარა და ზოგიერთს შემთხვევაში ნება აქვს კიდეც შეაყენოს განკარგულების ასრულება ახალ განკარგულებამდე. თუ ვინიცობაა, მინისტრი არ დასთანხმდა, მაშინ საქმეს გაარჩევს მინისტრთა კამიტეტი.

გ) ყოველი საზოგადოებრივი და ადმინისტრატიული დაწესებულებანი, რომელნიც კავკასიის მხარეში არიან და თანამდებობის პირნი, კანტროლის უწყების მოსამსახურეთ გარდა, იმყოფებიან მთავარ მეუფროსის ზედამხედველობის ქვეშ.

დ) მთავარ მეუფროსეს ნება აქვს ყოველთვის მოითხოვოს ცნობები და საქმეები სასამართლოებიდამ, კანტროლისა და იმ სამსაჯულო საქმეებს გარდა, რომელთა გამოძიებაც ჯერ არ გათავებულა.

ე) მთავარ მეუფროსეს უნდა წარუდგინონ ყოველი პირი იმ ცირკულიარებისა, რომელთაც სასამართლონი და მეუფროსე პირნი გამოსცემენ.

ვ) კავკასიაში განწესება და დათხოვნა მოსამსახურე პირთა მოხდება თანხმად საზოგადო წესდებისა. მხოლოდ პოლიციის მოხელენი მეხუთე და მეექვსე კლასისა, აგრეთვე მომრიგებელი შუამავალნი (мировые посредники) თანამდებობაზედ დამტკიცდებიან მთავარ მეუფროსისაგან.

ზ) თუ კავკასიის რომელიმე ალაგას გავრცელდებიან შემდეგი დანაშაულობანი: მთავრობის წინააღმდეგობა, კაცის კვლა, თავს დაცემა, ცარცვა, ან საქონლის ქურდობა და ადმინისტრაციის ცნობებით საეჭვო და საზოგადოების მავნებელი პირნი გამოჩნდებიან, მთავარ მეუფროსეს ნება აქვს ისინი კავკასიის მეორე ალაგას გადაასახლოს ვადით, არა უმეტეს ხუთის წლისა, და აგრეთვე ამავე ვადით მთლად კავკასიიდამ გადაასახლოს რუსეთის იმ ალაგებში, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრი უჩვენებს, მაგრამ ყოველთვის წინად უნდა განირჩეს საქმე მთავარ მეუფროსის რჩევაში.

(შემდეგი იქნება)

## სახალხო ლექსები

(შეკრებილი თელავის მაზრაში).

მთიდამ კახეთ წამოველი,
ქალი, შენი დაბარებული,
ბანიდამ ჩამოვიხედე,
სხვა გიჟდა გაცინებული,
ავდექ და უკან გავრბოდი,
შინ წაველ ატირებული.

ნეტამც მაქცივა თასადა
ღვინითამც ავემსებოდი,
ნეტამც დამფერა წითლადა,
დამლევდი, შეგერგებოდი,
ანამც მაქცივა ბეჭდადა
თითზედაც შეგეცმებოდი,
ან ნეტავ ღილად მაქცივა,
ზედ გულზედ ჩამოგდნებოდი.

—

წუხელის სიზმარშია
ბაბილოს ქვეშა მეძინა,
ქვეშ მეგო კარგი ორხოა,
ზედ დერეზული მეხურა,
გვერთ ლამაზი ქალი მეწვა,
მკლავი-მკლავ გადამეხვია,
წითელ ქურანზე ზედ ვიჯექ,
ლურჯი მარქაფად მეჭირა,

—

ნახტომი მშველი მომეკლა,
ტახტაზე ჩამამეკიდა.
ნუ სტყუი, ბიჭო, ნუ სტყუი!
საღორის კარსა გეძინა,
ქვეშ გეგო ჩალა-ჩუღალი,
ზედ ნაბდის ფიჩვი გეხურა,
გვერთ გეწვა ლაგაზი ძაღლი,
მკლავი-მკლავ გადაგეხვია,
წითელ ტურაზედ იჯექი,
მელა მარქაფად გეჭირა,
ნახტომი კუი მეგეკლა,
კარებზე ჩემეგეკიდა.

## განცხადებანი

—

ბაქოს რკინის გზის საწყობში (складъ) სტანციის ახლო, 23, 24 და 25 ამთვისას, დილის 8 საათიდამ, გაისყიდება დარჩენილიი ხის მასალა, იარაღები და სამი ფიცრულის სარაია. (3—3)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—97)

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი საგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვრისა კალმები, უოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები. პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშვები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—34)

Дозв. цензурою Тифлисъ, 23 Іюня 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.